



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

22 მარტი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 34

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“, „ს“ და მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ვინაიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მაქსიმალურად აარიდა თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შექმნილიყო გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განახორციელოს 2011 წლის მარტის თვეში (1080 ლარის ღირებულების) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნით რეზერვისტა სენაკის სამხედრო საწვრთნელი ბაზიდან უკან გადმოყვანა.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი